ქართულის, როგორც მეორე ენის, საგამოცდო პროგრამა
(მე-9 კლასი)

პროგრამა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, საგნობრივ პროგრამას; ტესტში წარმოდგენილი დავალებები სტანდარტის შესაბამისი იქნება.

საგამოცდო ტესტი შეამოწმებს:

1. ლექსიკის ცოდნას;
2. გრამატიკის ცოდნას, კონტექსტის შესაბამისი გრამატიკული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენების უნარ-ჩვევებს;
3. სხვადასხვა სახის მხატვრული *(მოთხრობის, ლიტერატურული ზღაპრის...)* და არამხატვრული ტექსტების *(პირადი წერილის, სარეკლამო განცხადების, განრიგის, რეცეპტის, ბიოგრაფიის...)* წაკითხვისა და გაგების უნარს.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ტექსტში ფაქტობრივი ინფორმაციის *(ვინ, სად, რა, როდის, რამდენი, რომელი, როგორი და სხვა)* ამოცნობა;
- ტექსტის ავტორის, ადრესატის, თემისა და მიზნის ამოცნობა;
- პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ამოცნობა;
- ცალკეულ მოქმედებათა თანამიმდევრობის გარკვევა;
- ტექსტის ნაწილებს შორის ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ქრონოლოგიური კავშირების დადგენა;
- ნათქვამის მოდალობის *(შეკითხვის, თხოვნის, რჩევის, ბრძანების)* გარჩევა;
- ფაქტის, ვარაუდის, თვალსაზრისისა და შეფასების ერთმანეთისაგან გარჩევა;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმების, სინტაქსური კონსტრუქციების კონტექსტის გათვალისწინებით სწორად შერჩევა;
- ძირითადი ორთოგრაფიული ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

საგამოცდო პროგრამის ენობრივი საკითხების ჩამონათვალი

ლექსიკა:

- სინონიმები, ანტონიმები, საერთაშორისო სიტყვები, ფრაზეოლოგიზმები;
- სიტყვაწარმოება.

მორფოლოგია:

1. არსებითი სახელი:
- *ჯგუფები;*
- *ბრუნება; კუმშვა, კვეცა;*
- *რიცხვი.*

2. ზედსართავი სახელი:
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად;*
- *ხარისხის ფორმები.*

3. რიცხვითი სახელი:
- *რაოდენობითი, რიგობითი;*
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.*

4. ნაცვალსახელი:
- *პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი, მიმართებითი ნაცვალსახელები;*
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.*

5. ზმნა:
- *პირი და რიცხვი;*
- *დრო;*
- *ზმნისწინი;*
- *ასპექტი;*
- *თავისებური ზმნები;*
- *საწყისი და მიმღეობა.*

6. ზმნიზედა.
7. თანდებული.
8. კავშირი.
9. ნაწილაკი.

სინტაქსი:
1. წინადადების ტიპები:
- *შინაარსის მიხედვით;*
- *აგებულების მიხედვით.*

2. წინადადების წევრები.
3. სინტაქსური ურთიერთობები წინადადების წევრებს შორის.
4. განკერძოებული სიტყვები: *მიმართვა, ჩართული, დანართი.*

ორთოგრაფია:
1. რთული სიტყვების მართლწერა.
2. ფორმაცვალებადობასა და სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
3. თანდებულიან სახელთა მართლწერა.
4. რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით.

პუნქტუაცია:
სასვენი ნიშნები მარტივ, ერთგვარწევრებიან და რთულ წინადადებებში.